გეოგრაფიული ტექსტის ანალიზი

გააანალიზეთ ტექსტი და შეასრულეთ დავალებები:

ნამიბის უდაბნო

ნამიბი -- „ადგილი, სადაც არაფერია“ - ასე უწოდეს ყველაზე ძველ (დაახლოებით 80 მლნ. წელი) და ერთ-ერთ ყველაზე მშრალ უდაბნოს მსოფლიოში; ნამიბის უდაბნო აფრიკაში, ნამიბიისა და ნაწილობრივ ანგოლის ტერიტორიაზე მდებარეობს და ნამიბ-ნაუკლუფტის ეროვნული პარკის ნაწილს წარმოადგენს.
იგი უძველეს უდაბნოდ მიიჩნევა მთელ პლანეტაზე. არსებობს მტკიცებულება, რომ ის უკვე მესამეულ ეპოქაში, 65 მილიონზე მეტი წლის წინაც არსებობდა, ანუ, დაახლოებით იმ პერიოდში, როცა დინოზავრები გადაშენდნენ.
ნამიბის უდაბნო სამხრეთ აფრიკის პლატფორმის ერთ-ერთ ფიზიოგრაფიულ რეგიონს წარმოადგენს და 80,900 კმ²-ზეა გაშლილი.

ნამიბის უდაბნოს გეოგრაფიული მდებარეობა



ნამიბის ცენტრალურ ნაწილში თიხის პლატოა გადაჭიმული, რომელიც სურეალისტური, წითელი დიუნებითა და "მკვდარი ველითაა" ცნობილი. ითვლება, რომ აქ მსოფლიოში ყველაზე მაღალი დიუნებია - მათი სიმაღლე 300-400 მეტრს აღწევს.

ნამიბის უდაბნო ცნობილია ასევე, როგორც მსოფლიოში ყველაზე მაღალი დიუნების გავრცელების ადგილი.

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია

ნამიბის უდაბნო აფრიკის ადგილობრივი მოსახლეობის, ნამას საცხოვრებელი გარემოა; აბორიგენები თანამედროვე ნამიბიის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში ცხოვრობენ. თავად ნამიბიას სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია და ნამიბიისა და კალაჰარის უდაბნოებს შორის მდებარეობს.
ქვეყნის დასავლეთ სანაპიროს ატლანტის ოკეანე ესაზღვრება... ზღვაოსნებსა და მოგზაურებს არასტუმართმოყვარე ნამიბიის უდაბნოს უკიდეგანო სივრცეები ხვდებათ.

ნამიბის უდაბნოს წარმოქმნას ხელი შეუწყო ორმა ფაქტორმა: პირველი ისაა, რომ კონტინენტის გადაკვეთის პროცესში აღმოსავლეთის ქარები სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მაღალ პლატოზე უკანასკნელ ტენსაც კი კარგავენ და ნამიბიამდე ტენი ვერ აღწევს. მეორე ფაქტორი კი ისაა, რომ ბენგალის ცივი დინება, რომელიც კეთილი იმედის კონცხთან წარმოიქმნება და ჩრდილოეთისკენ მიემართება, მკვეთრად აციებს ოკეანის წყალს აფრიკის დასავლეთ სანაპიროსთან და წვიმის ნაცვლად ნისლი ჩნდება. ამიტომ, ნამიბს ხშირად ნისლების უდაბნოს უწოდებენ.

უდაბნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია მცენარეთა და ცხოველთა რამდენიმე სახეობა, რომელთაგან ზოგი ენდემურია და აქ არსებული სპეციფიკური კლიმატისადმი მაღალი შეგუებულობით ხასიათდება.

მკვდარი ველი (Deadvlei) ნამიბ-ნაუკლუფტის ეროვნული პარკის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ველი მკვდარი, გაქვავებული აკაციებითაა ცნობილი, რომლებიც ხასხასა დიუნების ფონზე სურეალისტურ ფიგურებს ქმნიან. უსიცოცხლო პეიზაჟი, რომელიც ფოტოებზეა აღბეჭდილი, ერთი შეხედვით, ნახატებს წააგავს.

© საავტორო უფლება დაცულია

მკვდარი ხეების სილუეტები, დახეთქილი მიწა და შეგრძნება, თითქოს აქ დრო გაჩერდა....

ამ ტერიტორიაზე არსებული ხეების ასაკი 900 წელზე მეტია. აქ ოდესღაც მოედინებოდა მდინარე, რომელიც წვიმების დროს ივსებოდა და შემდეგ პატარ-პატარა გუბურებს ტოვებდა; მათი წყალობით, ხეები ყოველ წელს ყვაოდნენ. გვალვისა და კლიმატური ცვლილებების გამო, მდინარე დაშრა, გუბურებმაც შეწყვიტა არსებობა და აკაციებიც გახმა. ქვიშის მკვეთრი აგურისფერი ფერი მასში რკინის მაღალი შემცველობითაა განპირობებული და ყველაზე მკაფიოდ და ხასხასად მზის ამოსვლის ან ჩასვლისას ჩანს.

ინტენსიური მზის გამო, ხეების მერქანი შავი ფერის გახდა, მაგრამ ვინაიდან კლიმატი ძალიან მშრალია, ის აგერ უკვე მრავალი წელია არ იშლება.

© საავტორო უფლება დაცულია

ნამიბ-ნაუკლუფტის ეროვნული პარკის მოსანახულებლად ნებართვაა საჭირო, რომელიც პარკის შესასვლელთან არსებულ ტურისტთა საინფორმაციო ცენტრში შეიძლება შეიძინოთ. პარკში შესვლა მხოლოდ დღის განმავლობაშია შესაძლებელი. დრო ყურადღებით უნდა აკონტროლოთ: დაბინდებასთან ერთად, არა მარტო შესვლა, არამედ გამოსვლაც შეუძლებელია - ან მანქანაში უნდა დაიძინოთ, ან კარავი გაშალოთ.

დავალებები

I. უპასუხეთ კითხვებს:

1. ვინ უწოდა ნამიბს ეს სახელი? ----------
2. როგორ ითარგმნება უდაბნოს სახელი ქართულად? ----------
3. რა ასაკისაა უდაბნოს ტერიტორია? ----------
4. რომელი ოკეანე ესაზღვრება უდაბნოს? ----------
5. ქვეყნის რომელ ნაწილში ცხოვრობს თანამედროვე მოსახლეობა, რომელმაც უდაბნოს სახელი მისცა? ----------

II. ახსენით თითოეული პასუხი:

6. ცხრილში „უდაბნო ნამიბის კლიმატური მაჩვენებლები“ მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაასაბუთეთ, რომ უდაბნოს კლიმატი მშრალია.

   ---
7. რა მიზეზის გამო უწოდებენ ნამიბს ნისლების უდაბნოს?
   ---
8. რა მიზეზების გამო მოდის ძალიან მცირე რაოდენობით ნალექი უდაბნოში?

ცხრილი: ნამიბიის უდაბნოს კლიმატური მაჩვენებლები

თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

© საავტორო უფლება დაცულია

თვის T^0C	20	21	19	17	15	14	13	14	15	15	17	18
ნალექი, მმ.	0	0	0	0	0	1	1	1	0	0	0	0

III. ტექსტში მოცემული ინფორმაციის, ატლასის რუკების და თქვენი გეოგრაფიული და ბიოლოგიური ცოდნის გამოყენებით, არგუმენტირებულად დაასაბუთეთ:

9. როგორ ფიქრობთ, ბუნების რა ნიშნების მიხედვით შეუძლიათ მოგზაურებს იგრძნონ ნამიბის უდაბნოს არასტუმართმოყვარეობა? ჩამოთვალეთ 3 ნიშანი.

---

10. როგორ ფიქრობთ, სინამდვილეში ნამიბის უდაბნო ისეთი ადგილია, სადაც ქვიშის გარდა არაფერია (მაგალითად, არ გვეხვდება მცენარეები, ცხოველთა სამყარო, ტბები)? თქვენი პასუხის დასასაბუთებლად, მოიყვანეთ 3 არგუმენტი.

მასალა მომზადებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.
© საავტორო უფლება დაცულია